



თარგმანები ქართულიდან პოლონურად, 1991 წლიდან დღემდე
კვლევა განხორციელდა Next Page Foundation-ის მიერ Book Platform-ის პროექტის
ფარგლებში

მაგდალენა ნოვაკოვსკა¹
ინგლისურიდან თარგმნა სოფო ბუჯიაშვილმა²
2012

¹ მაგდალენა ნოვაკოვსკა მთარგმნელია

² სოფო ბუჯიაშვილი - ინგლისური და შვედური ენების მთარგმნელი.

This text is licensed under Creative Commons



I. შესავალი

I.1 პოლონურ-ქართული ურთიერთობის ადრეული პერიოდი

პოლონური და ქართული კულტურების ურთიერთობა ისტორიას XVII საუკუნის დასაწყისიდან მოითვლის. ეს ის პერიოდია, როდესაც ოსმალეთის იმპერია პოლონელებისა და ქართველების საერთო მტრად გამოჩნდა. ისტორიული წყაროები აჩვენებენ ინტენსიურ ურთიერთობას პოლონეთისა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის, ისევე როგორც ეკონომიკური და კულტურული კავშირების ზრდა ამ პერიოდის მანძილზე. პოლონურ-ქართულ ურთიერთობაში იმ პერიოდის ყველაზე გამოჩენილი პიროვნება, წარმოშობით ქართველი ბოგდან გურდზიეცკი იყო, რომელიც დასახლდა პოლონეთში და 1668-1700 წლებში მოღვაწეობდა, როგორც დიპლომატი ახლო აღმოსავლეთში ოფიციალურ მისიაში, აწვდიდა წერილებს ქართველ და სპარს მმართველებთან, ხელს უწყობდა სავაჭრო ურთიერთობებს და კავკასიაში კათოლიკული მისიის საქმიანობას.

I.2 რუსეთის იმპერია - შუამავალი და საერთო მტერი

XVIII საუკუნეში ძლევამოსილი ანტაგონისტის როლი რუსეთის იმპერიამ აიღო, რომელმაც XVIII საუკუნის ბოლოს პოლონეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიპყრო. თითქმის თანადროულად, საქართველო იძულებული იყო შეერთებოდა მეფის რუსეთს, 1783 წელს. სწორედ ამიტომ, ორივე ერი იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის და ინტენსიური „რუსიფიკაციის“ პირობებში საკუთარი კულტურის შენარჩუნებისათვის. ეს რევოლუციური სული გახდა პირველი საფუძველი პოლონურ-ქართული ურთიერთქმედებისა ლიტერატურაში, რომელიც კიდევ უფრო გააღვივა რომანტიზმის იდეებმა. ამავე პერიოდში, როგორც პარადოქსულიც არ უნდა იყოს, რუსულის ლინგვა ფრანკა საშუამავლო ფუნქციის გამო, ჩნდებიან პირველი ცნობილი მთარგმნელები. ითვლება, რომ ქართული რომანტიზმის წინამორბედი, ნიკოლოზ ბარათაშვილი განიცდიდა ადამ მიკვიჩისა და იულიუს სლოვაკის ნაწარმოებების გავლენას.

ორიგინალური ქართული ტექსტის პოლონურად თარგმნის პირველი მცდელობა ჰქონდა კონსტანტი რდულტოვსკის, მეცნიერს ვილნიუსიდან. მისი შოთა რუსთაველის შუასაუკუნეების კლასიკური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული ვერსია გამოქვეყნდა ვილნიუსში 1831 წელს. შოთა რუსთაველი, როგორც ყველაზე ცნობილი და აღიარებული ოსტატი ქართული კლასიკური პოეზიისა, და მისი ნაწარმოები მკვლევარებისა და მთარგმნელების განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა.

I.3. დამოუკიდებლობა და ემიგრაცია

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პოლონეთმა და საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და დაიწყეს ურთიერთობის დამყარება რუსეთის შუამავლობისგან დამოუკიდებლად. ორივე სახელმწიფო მხარს უჭერდა ერთმანეთის სუვერენიტეტს, მაგრამ საქართველო კიდევ ერთხელ იყო ანექსირებული რუსული ძალის მიერ - ამჯერად, საბჭოთა ჯარის მიერ, რომელმაც დაიპყრო საქართველო 1921 წელს. მენშევიკებმა, საქართველოში საბჭოთა მმართველობის მოწინააღმდეგეებმა თავშესაფრისათვის ევროპას, მათ შორის პოლონეთს მიაკითხეს, სადაც ქართველი ოფიცრებს ჰქონდათ საშუალება ემსახურათ ჯარში. ამ ე.წ. „ხელშეკრულების ოფიცრებმა“ უზარმაზარი როლი შეასრულეს პოლონეთსა და საქართველოს შორის კულტურული კავშირის განვითარებაში. განათლებული ადამიანები, რომლების იძულებულები იყვნენ ცხოვრება ემიგრაციაში გაეტარებინათ, ცდილობდნენ წარედგინათ ქართული კულტურა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მასპინძლობდნენ მათ.

ქართული პოსტსაბჭოთა მიგრაციის პერიოდიდან განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ორი ადამიანი. პირველი მათგანია პრინცი გიორგი ნაკაშიძე, ოფიცერი და ამავდროულად მეცნიერი, რომელიც ცხოვრობდა ვარშავაში და მუშაობდა ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის კვლევის ინსტიტუტში. ის იყო ქართული ლიტერატურის პოლონურ ენაზე რამდენიმე თარგმანის ავტორი, მათ შორის უმნიშვნელოვნესია მისი ნაშრომი რუსთაველის ვეფხისტყაოსანზე - სიტყვა-სიტყვით ნათარმნი შუა საუკუნეების პოემა, რომელიც შემდეგ გადაეცა იოზეფ ლობოდოვსკის მისთვის პოეტური ფორმის მისაცემად. ამას გარდა, ნაკაშიძემ პოლონურ ენაზე გააკეთა შოთა რუსთაველის კვლევა, რომელიც გამოქვეყნდა 1937 წელს ვარშავაში სზვედეს მიერ. ამ დროისათვის მისი სახელი გაპოლონურდა და იწერებოდა, როგორც Jerzy Nakaszydze.

ვეფხისტყაოსნის ეს ზუსტი თარგმანი განხორციელდა იმ პერიოდში პოლონეთში უმნიშვნელოვანეს ქართველ პიროვნებასთან, წმ. გრიგოლ ფერაქესთან თანამშრომლობით, რომელიც იყო თეოლოგი, ისტორიკოსი, არქიმანდრიტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში. 1933-1942 წლებში ის იყო პატროლოგიის პროფესორი ვარშავის უნივერსიტეტის ორთოდოქსული თეოლოგიის ფაკულტეტზე. მან დააარსა ჟურნალი ქართველოლოგიის შესახებ ვარშავის უნივერსიტეტში „Pro Georgia“, რომელიც აქვეყნებდა კავკასიის საკითხებზე მომუშავე მკვლევარების

თარგმანები ქართულიდან პოლონურად, 1991 წლიდან დღემდე

უმნიშვნელოვანეს ნაშრომებს და ქართული წმინდა ტექსტებისა და ლიტერატურის თარგმანებს.

ფერადის ნაყოფიერი სასულიერო და სამეცნიერო საქმიანობა დასრულდა 1942 წლის 3 მაისს, ის გერმანელმა გესტაპომ დააპატიმრა. 1942 წლის 6 დეკემბერს გრიგოლ ფერადე მოკლული იყო ნაცისტების ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში, როდესაც მან სხვა პატიმრების დასაცავად, საკუთარ თავზე აიღო გერმანელი ოფიცრის მკვლელობა, ან, სხვა მოხსენების შესაბამისად, როდესაც გაზის კამერაში ებრაელი პატიმრის ნაცვლად შევიდა, რომელსაც დიდი ოჯახი ჰყავდა. ის იყო კანონიზებული, როგორც ქართული სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის, ისე კათოლიკური ეკლესიის მიერ. მისი სრული შრომები და ბიოგრაფია ითარგმნა პროფესორ დავით ქობალიას მიერ მარინა ურბანოვიჩის დახმარებით, ჰენრიკ პაპროცკის რედაქტირებით და გამოიცა ვარშავის უნივერსიტეტში 2012 წელს წიგნის ქართულ ვერსიასთან ერთად.

ომის წინა პერიოდიდან ასევე უნდა აღინიშნოს ვეფხისტყაოსნის შესავლის პოლონელი პოეტის, ჯულიან ტუვიმისეული შესანიშნავი თარგმანი, შესრულებული, სავარაუდოდ, ერთ-ერთი ქართველი ემიგრანტის დახმარებით. ეს ნაშრომი ომის გამო შეწყდა და აღარ დასრულებულა.

I.4. მეორე მსოფიო ომის შემდგომი პერიოდი

ომმა ქართველი ოფიცრები და მეცნიერები ან პოლონეთში დატოვა დახოცილები, ან აიძულა ახალი თავშესაფარი ეძებათ, რადგანაც საბჭოთა კავშირმა პოლონეთზე კონტროლი აიღო და ჩამოაყალიბა კომუნისტური მთავრობა ვარშავაში. იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებისთვისაც ქართული მშობლიური იყო და შეეძლოთ პოლონურად ეთარგმნათ, ნულამდე დავიდა. ეს სიჩუმის ერა დასრულდა გამოჩენილი ლინგვისტის, პროფესორ იან ბრაუნის გამოჩენით, რომელიც სპეციალიზდებოდა ქართულ, ბასკურ და შუმერულ ენებში. მისი ყველაზე ცნობილი თარგმანი ქართულიდან პოლონურად, რედაქტირებული იერზი ზაგორსკის მიერ, ამ დრომდე მიჩნეულია შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის საუკეთესო თარგმანად და სრულ ვერსიად.

იან ბრაუნის ქართველოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომების სრული ბიბლიოგრაფია იხ. ქვემოთ:

1954

ვეფხისტყაოსნის ახალი პოლონური თარგმანი (*Nowy przekład polski „Rycerza w tygrysyj skórze”*), „ლიტერატურული გაზეთი”, თბილისი [Tbilisi], ნომერი 21, გვ. 4.

თარგმანები ქართულიდან პოლონურად, 1991 წლიდან დღემდე

Словарные схождения баскского и картвельских языков, [w:] VII научная конференция аспирантов Тбилисского государственного университета. План работы и тезисы докладов, Тбилиси, s. 40-42.

[соавтор] *Об историческом взаимоотношении урартского и иберийско-кавказских языков*, [w:] V (XI) научная СЕССИЯ Института языкознания Академии Наук Грузинской ССР. План работы и тезисы докладов, Тбилиси, გვ. 49-52.

1955

Многоличность (полипросопия) грузинского глагола. Автореферат кандидатской диссертации, Тбилисский государственный университет, Тбилиси, გვ. 15.

1958

Rękopisy gruzińskie, [w:] *Katalog rękopisów orientalnych ze zbiorów polskich*, t. 3: *Katalog rękopisów ormiańskich i gruzińskich*, PWN, Warszawa, გვ. 49-59.

1959

Z poezji gruzińskiej, PO, ნომერი 2 (30), გვ. 195-200.

ABC... Gruzji, [w:] *Materiały repertuarowe i informacyjne Zarządu Głównego TPPR*, nr 4 – Na dni kultury gruzińskiej w Polsce (28 IX – 4 X 1959), Warszawa, გვ. 85-86.

1962

[wybór i przekład z oryginałów ormiańskich; wraz z K. Roszko] *Gruzja*, [w:] *Pod Araratem i Kazbekiem. Przysłowia. Bajki. Zagadki*, Warszawa, გვ. 111-175 [drugie wydanie – 1967].

1964

Pochodzenie języka sumeryjskiego, [w:] *Sesja Jubileuszowa XXX-lecia Instytutu Orientalistycznego Uniwersytetu Warszawskiego (21-22 I 1964)*, *Komunikaty Naukowe*, WUW, Warszawa, გვ. 31-36.

Gruziński język, [w:] *Wielka encyklopedia powszechna PWN*, t. 4, Warszawa, გვ. 475.

Gruzińska literatura, [w:] *Wielka encyklopedia powszechna PWN*, t. 4, Warszawa, გვ. 455.

1965

Kaukaskie języki, [w:] *Wielka encyklopedia powszechna PWN*, t. 5, Warszawa, გვ. 457.

1966

[konsultacja filologiczna] *S z o t a R u s t a w e l i*, *Rycerz w tygrysiej skórze*. Przekład fragmentów, trawestacje i słowo wiążące J. Zagórski, WL, Kraków, გვ. 83.

1971

[რედ.] *Mezopotamia*, PWN, Warszawa 1971 (autorstwo artykułów: *Stosunki etniczne starożytnej Mezopotamii*, გვ. 46-49; *Języki starożytnej Mezopotamii*: 1. *Język sumeryjski*, გვ. 50-57, 2. *Język hurycycki*, გვ. 73-76).

1972

Literatura dagestańska, gruzińska, kabardyńska i osetyńska (20 haseł), [w:] *Mały słownik pisarzy świata*, WP, Warszawa.

[konsultacja] D. M. L a n g, *Dawna Gruzja*. Przełożył W. Hensel, PIW, Warszawa, გვ. 171.

[konsultacja] *Związek Radziecki. Gruzja*. Praca zbiorowa pod red. F. F. Davitaja, Tłumaaczył z jęz. rosyjskiego L. Baraniecki, PWN, Warszawa, გვ. 171.

თარგმანები ქართულიდან პოლონურად, 1991 წლიდან დღემდე

1976

[konsultacja filologiczna] S z o t a R u s t a w e l i, *Rycerz w tygrysięj skórze*. Przełożył i postłowięm opatrzył J. Zagórski, WL, Kraków, გვ. 251 [drugie wydanie – 1983].

1977

ბასკური ენა (*Język baskijski*), [w:] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (*Gruzińska encyklopedia radziecka*), t. 2, Tbilisi, გვ. 223.

1978

სიტყვა წარმოთქმული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საიუბილეო სესიაზე (Odczyt wygłoszony na jubileuszowej sesji Zgromadzenia Ogólnego Akademii Nauk Gruzińskiej SSR, poświęconej uczczeniu 600-lecia urodzin Szoty Rustaweli), რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, t. 2, Tbilisi, გვ. 85-86.

რუსთაველი პოლონეთში (Rustaweli w Polsce), რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, t. 2, Tbilisi, გვ. 87-88.

1980

An Unknown Inscription of Urlumma, King of Umma, RO XLI/2, s. 13-14.

1981

Euscaro-Caucasica, [w:] *Encuentros internacionales de vascólogos, Iker-1*, Real Academia de la Lengua Vasca, Bilbao, s. 213-221.

ბასკური და კავკასიური (*Euscaro-Caucasica*), იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული VIII, თბილისი, გვ. 203-215.

[współpraca filologiczna przy przekładach] Z. S c h l e y e n, *Poezja miłosna dawnej Hiszpanii*, WL, Kraków, გვ. 165, [w:] *Ballady i romance baskijskie. Wiek XVII*, s. 134-135.

1983

Philology of the Ancient Near East, [w:] *Oriental Studies in the Sixty Years of Independent Poland*, Ed. by W. Tyloch, Polish Scientific Publishers, Warsaw, s. 7-9.

1984

ბასკოლოგიის შესავალი (*Wstęp do baskologii*), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა (Wydawnictwo Uniwersytetu w Tbilisi), თბილისი, გვ. 104.

1985

Africadas de las lenguas kartvélicas y sus correspondencias regulares en el vasco. Observaciones adicionales, [w:] *Symbolae Ludovico Mitxelenaseptuagenariooblatae*, Universidad del Pais Vasco, Vitoria, s. 875-879.

1988

The Grammatical Category of Article in Kartvelian and Basque. A Comparative Study, [w:] *Studia Caucasologica I*, Oslo, s. 38-41.

Древнейшие формы каузатива в картвельских языках и в баскском, [w:] *Материалы Первого международного картвелогиического симпозиума*, Тбилиси, s. 85-89.

Nomina verbalia en las lenguas kartvélicas y en el vasco, [w:] *II Congreso Mundial Vasco, congreso de la lengua vasca*, Vitoria, s. 227-232.

1991-1992

Proto-Kartvelian Declension and Its Development, „Lingua Posnaniensis” XXXIV, s. 7-9.

1993

თარგმანები ქართულიდან პოლონურად, 1991 წლიდან დღემდე

Когда Баски потеряли контакт с остальными картвельскими племенами, ROXLVIII. 2, s. 35-43.

Etruskowie. Encyklopedia szkolna. Historia, Warszawa, s. 7.

Baskowie. Encyklopedia szkolna. Historia, Warszawa, s. 4.

1994

Nombres de los insectos en las lenguas kartvélicas y en el vasco, [w:] *La langue basque parmi les autres. Sous la direction de J. B. Orpustan. Actes du Colloque de l' URA 1055 du CNRS*, Baigorri, VI 77-85.

Sobre la estructura y el mecanismo del verbo viejo georgiano, [w:] *La langue basque parmi les autres. Sous la direction de J. B. Orpustan. Actes du Colloque de l' URA 1055 du CNRS*, Baigorri, VII 87-92.

Хаттский и абхазо-адыгский (Hattian and Abasgo-Kerketian), RO XLIX. 1, s. 15-23.

1995

Addenda Carica, RO L.1, s. 41-52.

1998

Euscaro-Caucasica. Historical and Comparative Studies on Kartvelian and Basque, Warszawa, ss. 147.

2001

Sumerian and Tibeto-Burman, Warszawa, ss. 93.

Verbos Kartvélicos y vascos. Fonteslinguae Vasconum. Studia et documenta. XXXIII. 86, Pamplona, s. 5-12.

2002

Локальные префиксы хаттского глагола и те же морфемы в абхазо-адыгских языках, [w:] *Silva Anatolica. Anatolian Studies Presented to Maciej Popko on the Occasion of His 65th Birthday*, Warsaw, s. 55-56.

I.5. სხვა გამოცემები 1991 წლამდე

გარდა ზემოთ ნახსენები გამოცემებისა, საბჭოთა პერიოდში ქართული ლიტერატურა და ტექსტები პოლონურ ენაზე ძირითადად რუსული ენის, როგორც შუალედური წყაროს, საშუალებით ითარგმნობა. ამიტომ, საბოლოო ვერსიის ხარისხი ხშირად საკმაოდ დაბალი იყო, განსაკუთრებით პოეზიის. ასევე, ნაწარმოების არჩევა ხშირად წყდებოდა კომუნისტური იდეოლოგიის მიხედვით. ამის ერთ-ერთი მაგალითია „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ (*Antologiapoezji gruzińskiej, Czytelnik*), ვარშავა, 1961.

II. გამომცემლობისა და თარგმნის ბაზარი პოლონეთში

პოლონეთის წიგნის ინსტიტუტის „საგამომცემლო ბაზრის ანგარიში 2010“-ის მიხედვით პოლონეთში რეგისტრირებულია 31,000-ზე მეტი საგამომცემლო სახლი. ამავდროულად, ბაზრის კონცენტრაცია ძალიან მაღალია. 300 უდიდესი საგამომცემლო კომპანია მთლიანი ბაზრის თითქმის 98%-ს ფლობს. მხოლოდ 600-700

თარგმანები ქართულიდან პოლონურად, 1991 წლიდან დღემდე

კომპანია უშვებს 10-ზე მეტ წიგნს წელიწადში. 2010 წელს 300-ზე მეტმა საგამომცემლო სახლმა მიაღწია 250,000 ევროს წლიურ ბრუნვას და 160 მათგანმა 500,000 ევროს წლიურ ბრუნვას.

იხილეთ, პოლონეთში გასულ წლებში გამოცემული წიგნების რაოდენობის სტატისტიკა.

	2005	2006	2007	2008	2009	2010
წიგნების რაოდენობა	20 410	19 860	21 810	21 740	22 460	24 380
პირველი გამოცემების რაოდენობა	12 040	11 990	13 260	13 280	13 310	13 430
ასლების რაოდენობა (მლნ)	141.5	133.6	146.4	145.7	144.4	139.2
საშუალოდ ასლების რაოდენობა	6,933	6,727	6,713	6,702	6,429	5,710

Rynek książki w Polsce 2011, BibliotekaAnaliz Sp. z o. o.

პოლონელი მთარგმნელების უმრავლესობა, ფინანსური მიზეზების გამო, ლიტერატურას მხოლოდ თავისუფალ დროს თარგმნიან, მუშაობენ რა ყოველდღიურად სხვადასხვა ინსტიტუტებსა და კომპანიებში (უნივერსიტეტები, მედია, ლიტერატურული სააგენტოები, მთარგმნელობითი სააგენტოები და ა.შ.). ამის გამო რთულია სიტუაციის ზუსტი აღწერა და პროფესიონალ მთარგმნელებზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვება. მთარგმნელების მხოლოდ პატარა ჯგუფი არის გაწევრიანებული პროფესიულ ორგანიზაციაში, როგორცაა მთარგმნელების პოლონური ასოციაცია (დაახლოებით 100 ადამიანი), პოლონური PEN კლუბი (დაახლოებით 50 ადამიანი) და ბოლო დროს ჩამოყალიბებული პოლონური ლიტერატურის მთარგმნელთა გაერთიანება (დაახლოებით 50 ადამიანი).

პოლონეთის წიგნის ინსტიტუტის „პოლონეთში მთარგმნელთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშის“ მიხედვით, ყოველწლიურად დაახლოებით 3000 შრომითი

თარგმანები ქართულიდან პოლონურად, 1991 წლიდან დღემდე

ხელშეკრულება იდება ლიტერატურის თარგმანზე პოლონეთში. სამწუხაროდ, ანგარიშის ავტორები აღნიშნავენ, რომ მცდელობები, ნაკლები გადაუხადონ მთარგმნელებს ან აიძულონ, ხელი მოაწერონ კონტრაქტს არასასურველი პირობებით, გამომცემლებს შორის მიღებული პრაქტიკაა.

ტიპური გადასახადი ამ სახის თარგმანისათვის ასევე დაბალია სხვა სახის დოკუმენტების კომერციულ ფასზე და მერყეობს 100-დან 400 ევრომდე თითო საგამომცემლო გვერდისათვის.

მთარგმნელების მხარდამჭერი მთავარი ინსტიტუტი პოლონეთის წიგნის ინსტიტუტია, რომელიც ახორციელებს პოლონური ლიტერატურის უცხო ენებზე მთარგმნელებზე მიმართულ ორ პროგრამას, ©პოლონეთი, რომელიც ფარავს პოლონური ლიტერატურის საზღვარგარეთ გამოცემის ხარჯებს და ერთეულ თარგმანებს ©პოლონეთი, რომელიც იხდის ერთეული თარგმანებისთვის პოტენციური გამომცემლებისათვის. მთარგმნელთა კოლეჯი კრაკოვში პოლონური ლიტერატურის უცხო ენაზე მთარგმნელებს საცხოვრებელს სთავაზობს და 2005 წლიდან აწყობს მთარგმნელთა მსოფლიო კონგრესს.

უცხო ენიდან პოლონურ ენაზე თარგმანები ფინანსდება ამ ქვეყნების კულტურის ინსტიტუტებით, როგორცაა გოეთეს ინსტიტუტი, ფრანგული ინსტიტუტი, კულტურის სამინისტროები, საელჩოები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

III. თარგმანი ქართულიდან პოლონურად 1991-ის შემდეგ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოლონეთმა და საქართველომ ისევ დამოუკიდებლად აღადგინეს ურთიერთობები. ამავდროულად, საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყო, 1992 წელს. ბევრმა ქართველმა გადაწყვიტა პოლონეთში ცხოვრების შესაძლებლობა მოეძიებინა. მათ შორის იყვნენ მეცნიერები, პროფესორი მარიკა პირველი, რუსუდან კიკალეიშვილი-დომუცოვსკა და დავით ქობალია, რომლებმაც სრულყოფილად ისწავლეს პოლონურად საუბარი და წერა და იყენებდნენ თავის სამეცნიერო სამუშაოში. პროფესორმა ქობალიამ თავისი კარიერა ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ცენტრს დაუკავშირა. 1991 წელს მან და მისმა კოლეგებმა აღადგინეს „Pro Georgia. ქართველოლოგიის კვლევების ჟურნალი“. ეს პერიოდიკა გახდა მთავარი პლატფორმა კავკასიის საკითხებზე პოლონელი და უცხოელი სპეციალისტებისათვის, სადაც გასული 20 წლის მანძილზე გამოქვეყნდა სხვადასხვა ნაშრომები, კვლევები და თარგმანები.

თარგმანები ქართულიდან პოლონურად, 1991 წლიდან დღემდე

90-იანების დასაწყისში მრავალი თარგმანი შესრულდა პროფესორ ქობალიას მიერ, ხშირად რევერენდ ჰენრიკ პაპროცკისთან თანამშრომლობით, რომელიც კონსულტაციას აძლევდა წმინდა ტექსტებისა და თეოლოგიის საკითხებზე. 90-იანების დასაწყისში თარგმნილი და გამოცემული ტექსტების უმრავლესობა ამ საკითხებთან იყო დაკავშირებული, განსაკუთრებით ადრეული ქრისტიანული ლიტერატურა. რუსუდან კიკალეიშვილი-დომუჩოვსკა ასევე მუშაობდა 90-იანებში, მის ნაშრომებს შორისაა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები.

ამავე დროს, 90-იანების ბოლოს, სამოქალაქო ომის დასრულებასთან და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასთან ერთად ზოგი პოლონელი დასახლდა საქართველოში. მათ შორისაა ავტორი, რომელმაც ისწავლა ქართული ენა, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი და მაგისტრის კურსი ჟურნალისტიკაში საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში. ქ-ნ მაგდა ნოვაკოვსკა მუშაობს პროფესიონალ მთარგმნელად 2000 წლიდან და სპეციალიზირდება თანამედროვე ქართულ ლიტერატურასა და პოეზიაში. კიდევ ერთი გამოცდილი პოლონურ-ქართული მთარგმნელია ქ-ნ ევა პავლოვიცი, რომელიც სპეციალიზირდება ტექნიკურ თარგმანებზე.

ბოლო პერიოდში გამოჩნდა რიგი ახალგაზრდებისა, რომლებიც ფლობენ ორივე ენას სტუდენტური გაცვლითი პროგრამების და თბილისში პოლონური ენის შემსწავლელი ორი ცენტრის გახსნის შედეგად. ახალგაზრდა მთარგმნელების უმრავლესობა კირკლანდის სტიპენდიის და ვარშავაში აღმოსავლეთ ევროპის კვლევების კურსდამთავრებულებს შორის არის შეკრებილი. რაც შეეხება პოლონელებს, რომლებმაც ბოლო წლებში ისწავლეს ქართული ენა, მათ შორისაა კრზისზტოფ ლუკიანოვიჩი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის განყოფილებაში მუშაობს და დომინიკ ცაგარა, ახალგაზრდა, ნიჭიერი ლინგვისტი, რომელიც სპეციალიზირდება კავკასიურ ენებში.

რაც შეეხება ქართველებს, რომელიც თარგმნიან პოლონურიდან, შეგვიძლია ჩამოვთვალოთ მარინა ურბანოვიჩი, თეონა მჭედლიშვილი, ხათუნა გოილაძე-ჟუროვსკა, მანანა გელაშვილი, მირანდა გურგენიძე, ლელა პაპუაშვილი, მიხეილ მანტიძე და დათო კანდრევიჩი.

ქვემოთ მოცემულია თარგმანების სია ავტორების (ანბანური თანმიმდევრობით), ჟანრის და გამოცემის წლის მიხედვით:

Agmaszenebeli Dawid, Król Gruzji: „Kanon pokutny”, *Warszawa, 2011*, წმინდა ტექსტი

თარგმანები ქართულიდან პოლონურად, 1991 წლიდან დღემდე

Barataszwili Nikoloz: „Duchu złośliwy” (Dusza złośliwa). *Pro Georgia 1994*, პოეზია

Bugadze Lasza: “Trzy dramaty”, *Instytut Teatralny, 2004*, დრამა

Burczuladze Zaza: „Adibas”, *Claruscuro, 2010*, თანამედროვე მხატვრული პროზა

Cereteli Akaki: „Mała muszka, robotnica....” *Pro Georgia 1998*, პოეზია

Cereteli Akaki: “Lubię kiedy święta świeca....” *Pro Georgia 1998*, პოეზია

Cereteli Akaki: “Suliko”, *Pro Georgia 1998*, კლასიკური პოეზია

Curtaweli Jakob: „Męczeństwo świętej Szuszanik”, *1991*, წმინდა ტექსტი

Dolidze Manana: „Pauza”, *Instytut Teatralny, 2004*, დრამა

Dzanikaszwili Basa: „Zegnaj, Temur!”, *Instytut Teatralny, 2004*, დრამა

Kwliwidze Micha: „Błąd”, *Akant 1998*, თანამედროვე პოეზია

Kwliwidze Micha: “Czas”, *Akant 1998*, თანამედროვე პოეზია

Kwliwidze Micha: „Definicja szczęścia”, *Akant 1998*, თანამედროვე პოეზია

Kwliwidze Micha: „Do muzyki”, *Akant 1998*, თანამედროვე პოეზია

Kwliwidze Micha: „Moda”, *Akant 1998*, თანამედროვე პოეზია

Leonidze Georgi: „Na cześć Mickiewicza”, *Gazeta Lwowska 1998*, კლასიკური პოეზია

Mokcewaj Kartlisaj, Nawrócenie Kartlii, ze starogruzińskiego przełożył, komentarzem i przypisami opatrzył Dawid Kolbaia, Uniwersytet Warszawski, 1995.

Oragwelidze Giwi: „Autoportret – Amfas”, *Kartki [Białystok] 1998*, თანამედროვე პოეზია

Oragwelidze Giwi: „Wszystko umowne...”, *Kartki [Białystok] 1998*, თანამედროვე პოეზია

Orbeliani Sulchan Saba: „Biedak i garnek masła”, *Pro Georgia 1998*, კლასიკური მხატვრული პროზა

Orbeliani Sulchan Saba: „Chutkunczula”, *Pro Georgia 1998*, კლასიკური მხატვრული პროზა

თარგმანები ქართულიდან პოლონურად, 1991 წლიდან დღემდე

Orbeliani Sulchan Saba: “Komble”, *Pro Georgia 1998*, კლასიკური მხატვრული პროზა

Orbeliani Sulchan Saba: “Kot i lew”, *Pro Georgia 1998*, კლასიკური მხატვრული პროზა

Orbeliani Sulchan Saba: “Król i malarz”, *Pro Georgia 1998*, კლასიკური მხატვრული პროზა

Orbeliani Sulchan Saba: “Nacarkekya”, *Pro Georgia 1998*, კლასიკური მხატვრული პროზა

Orbeliani Sulchan Saba: “Pchła i mrówka”, *Pro Georgia 199*, კლასიკური მხატვრული პროზა

Orbeliani Sulchan Saba: “Rana od słów”, *Pro Georgia 1998*, კლასიკური მხატვრული პროზა

Orbeliani Sulchan Saba: “Turkawka”, *Pro Georgia 1998*, კლასიკური მხატვრული პროზა

Pshavela Vazha: “Dzaglika Chimikauri”, *Przegląd Orientalistyczny 1988*, კლასიკური პოეზია

Peradze Grigol: “Dzieła zebrane”, *Warszawa, 2012*, წმინდა ტექსტი

Peradze Grigol: „Kronika monasteru św. Jana Chrzciciela“, *Pro Georgia*, წმინდა ტექსტი

Peradze Grigol: „O pogaństwie gruzińskim. Św. Jerzy w twórczości narodu gruzińskiego“, *Pro Georgia*, წმინდა ტექსტი

Grigol Peradze: „Dzieła zebrane, O patrologii. O historii Kościoła“, *Studium Europy Wschodniej Uniwersytet Warszawski, Warszawa, tom II, 2011*, წმინდა ტექსტი და თეოლოგია

Peradze Grigol: „Autobiografia“, *Pro Georgia*, წმინდა ტექსტი და თეოლოგია

Sumbat, syn Dawida: „Żywot i opowieści o Bagrationach, o królach Kartwelów – skąd przybyli do tego kraju, od jakiego czasu władają królestwem Kartlii“, *Warszawa, 2012*, ჰუმანიტარული მეცნიერებები

IV. სხვა ენები

1991 წლის შემდეგ შეინიშნება ტენდენცია ქართული ტექსტების შუამავალი ენის (რუსულის) გარეშე თარგმნის. თითქმის ყველა თარგმანი სრულდება ორიგინალიდან.

V. თარგმანი ქართულიდან პოლონურად - ზოგადი სამუშაო პირობები

ბოლო წლებში ქართველების მიერ პოლონური ენის ცოდნის ფაქტები საკმაოდ გახშირდა. ამიტომ ის ადამიანები, ვისაც შეუძლია ორივე ენა გამოიყენოს არც ისე იშვიათად გვხვდება, მაგრამ თარგმანის ხარისხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშაა.

ჩვეულებრივი ფასი ლიტერატურული ტექსტის ქართულიდან პოლონურად კომერციული თარგმანისათვის არის დაახლოებით 100 ევრო ერთი საგამომცემლო გვერდისათვის. პოლონელი გამომცემლები ჯერ კიდევ ფრთხილობენ უცნობ ავტორებში ინვესტირებასთან დაკავშირებით. ეს მთარგმნელის საქმეს სამკაოდ ართულებს, განსაკუთრებით, დიდი მოცულობის სამუშაოს შემთხვევაში.

რაც შეეხება ინსტიტუტებს, რომლებიც მხარს უჭერენ მთარგმნელებს, საქართველოს კულტურის სამინისტრო სთავაზობს გრანტებს უცხოელ გამომცემლებს, რომელიც ნაწილობრივ ფარავს მთარგმნელის გადასახადს.

VI. მედიატორები

ლიტერატურული თარგმანები ძირითადად სრულდება მეცნიერული გამოცემებისათვის, უმრავლესობა Pro Georgia. ქართველოლოგიის კვლევების ჟურნალის დაკვეთით და ქვეყნდება ამავე ჟურნალში. კომერციული საგამომცემლო სახლების ძალიან მცირე რაოდენობა არის დაინტერესებული თანამედროვე ქართული ლიტერატურის გამოცემით. გამომცემლობა Claroscuro იყო პირველი, რომელმაც თანამედროვე ქართველი ავტორის თარგმანი შეუკვეთა 2010 წელს (ზაზა ბურჭულაძე, „ადიბასი“, თარგმნა მაგდალენა ნოვაკოვსკამ) და გამოხატა პროექტის გაგრძელების სურვილი. მთარგმნელები ხშირად თვითონ ეძებენ საგამომცემლო სახლებთან მუშაობის შესაძლებლობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესი ქართული კულტურის მიმართ პოლონეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა უკანასკნელი წლების მანძილზე. ამის მიზეზი საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის პოპულარობის ზრდა არის და განსაკუთრებით კი პოლონელი გამოჩენილი ადამიანების ბოლო დროის წიგნები - მარცინ მელერისა და ანა დზიევიტ-მელერის: „Gaumardzos“ და კატარზინა პაკოსინსკას „Georgialiki“. ორივე წიგნი აღწერს საქართველოს სილამაზეს, მის კულტურასა და თანამედროვე ისტორიას.

VII. მიღება

თარგმანები ქართულიდან პოლონურად, 1991 წლიდან დღემდე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგადი ინტერესი ქართული ლიტერატურისადმი პოლონეთში საკმაოდ მაღალია. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე პირველმა პოლონურად ნათარგმნმა თანამედროვე ნოველამ უამრავი კომენტარი დაიმსახურა. წიგნის შინაარსი საკმაოდ პროვოკაციულია და ამან გამოიწვია დისკუსია საქართველოზე არსებულ სხვადასხვა ხედვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მედიასა და ლიტერატურაში. წიგნი სრულად გაიყიდა.

რამდენიმე მიმოხილვა შეგიძლიათ იხილოთ აქ:

http://www.claroscuro.pl/adibas_recenzje.php

რაც შეეხება ისტორიული და რელიგიური ტექსტების თარგმანს, ისინი ძირითადად სამეცნიერო სამუშაოების ფარგლებში სრულდება და მეტწილად, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის კვლევის ინსტიტუტის მეცნიერების მიერ. ძირითადად, მათი ხარისხი ძალიან მაღალია და ყოველთვის პირველად არის ნათარგმნი პოლონურ ენაზე. ისინი დიდ ინტერესს აღძრავენ იმ მეცნიერებს შორის, რომლებიც ჩართულები არიან კავკასიის კვლევაში. პროფესორ დავით ქობალიას უკანასკნელმა ნაშრომმა, რომელმაც თარგმნა და გამოაქვეყნა წმ. გრიგოლ ფერაძის ნაშრომელი პოლონურად და ქართულად, უზარმაზარი ინტერესი გამოიწვია ორივე ქვეყნის აკადემიურ და საეკლესიო წრეებში.

საკითხზე მიმოხილვების უმრავლესობა გამოქვეყნებულია “Pro Georgia. ქართველოლოგიის კვლევების ჟურნალში. ხელმისაწვდომია მხოლოდ ნაბეჭდი სახით.

VIII. შეფასება და რეკომენდაციები

- საქართველო და პოლონეთი ახლა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადადიან. ამ მხრივ, ორივე ენაზე ლიტერატურის თარგმნის მხარდაჭერას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ქართული ლიტერატურის შემთხვევაში, რათა შეივსოს ბოლო 20 წლის განმავლობაში გაჩენილი ინფორმაციული და კულტურული ვაკუუმი.
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ქართული ლიტერატურის უცხოენოვანი თარგმანის პროგრამა უნდა გაფართოვდეს და სწორად მიეწოდოს საზღვარგარეთის ბაზარს, რათა გაიზარდოს უცხოელი გამომცემლებში ქართული ლიტერატურის თარგმნის მოტივაცია.
- უნდა შეიქმნას ახალი პროგრამები ქართული ლიტერატურის მთარგმნელების მხარდასაჭერად (სტიპენდიები, საგრანტო სისტემა მთარგმნელებისთვის).

- უნდა ჩამოყალიბდეს ქართული ლიტერატურის უცხო ენაზე მთარგმნელთა გაერთიანება. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთი ორგანიზაცია არ არსებობს. ამ სახის ორგანიზაციის შეიქმნება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ქვეშ იყოს.
- შესაძლებელია ყოველწლიური პრიზის დაწესება ქართული ლიტერატურის უცხო ენაზე საუკეთესო თარგმანისათვის.
- უნდა შედგეს ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებების სია უცხო ენაზე თარგმანისათვის და საქართველოს ხელისუფლებამ ხელი უნდა შეიწყოს მათ თარგმანს.
- უნდა ჩამოყალიბდეს სისტემა, რომლის საშუალებითაც ქართული ლიტერატურის მთარგმნელებს ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ მთარგმნელების მსოფლიო ქსელში.
- უნდა შეიქმნას მთარგმნელების ვირტუალური პლატფორმა.